საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კალისტრატე

კალისტრატე - სრულიად საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქი

კალისტრატე (ერისკაცობაში – ბიჭიკო მიხეილის ძე ცინცაძე) [12 (24). IV. 1866, სოფ. ტობანიერი, ახლანდ. ვანის მუნიციპალიტეტი, – 3. II. 1952, თბილისი], სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (1932–52). 1875 შევიდა ქუთ. სას. სასწავლებელში, რ-ის დამთავრების შემდეგ სწავლა თბილ. სას. სემინარიაში გააგრძელა. 1888–92 კიევის სას. აკადემიაში სწავლობდა, სადაც შეისწავლა ბერძნ., ლათ. და სლავური ენები. იქვე დაიცვა დისერტაცია თემაზე „ივერიის ეკლესია სასანიდების პერიოდში" და მიენიჭა ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხი (1892).

საქართველოში დაბრუნებული კ. 1893 წ. 2 აპრილს დიაკვნად, ხოლო 18 აპრილს მღვდლად აკურთხეს და დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიის წინამძღვრად განაწესეს. 1903-იდან მღვდელმსახურება გააგრძელა ქაშვეთის ეკლესიაში. 1909 დეკანოზის პატივი მიანიჭეს. იყო საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენისა და მართვა-გამგეობის პროექტის ერთ-ერთი ავტორი. 1917 ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ კი საქართვ. ეკლესიის საკათოლიკოსო საბჭოში აირჩიეს. 1923 ანტისაბჭოთა საქმიანობის ბრალდებით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით, 9 თვით და 23 დღით, თუმცა იმავე წლის ბოლოს ამნისტიით გაათავისუფლეს.

1925 კ. კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის ლოცვა-კურთხევით ხელდასხმულ იქნა ნინოწმინდელ ეპისკოპოსად. მალევე ებოძა მიტროპოლიტის პატივი და პატრიარქის

თანამოსაყდრედ დაინიშნა, თუმცა 1926 ეკლესიაში მომხდარი შიდა დაპირისპირების გამო მან უარი განაცხადა თანამოსაყდრეობაზე. 1927-იდან მანგლისის ეპარქიას განაგებდა.

1932 პატრიარქ ქრისტეფორე III-ის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს მე-6 საეკლ. კრებამ კ. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად დაადგინა. მისი დიდი ძალისხმევით შესაძლებელი გახდა ეკლესია-მონასტრების დახურვისა და ძარცვარბევის პროცესის შეჩერება. კ. აქტიურად იბრძოდა მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიების მიერ საქართვ. ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებისთვის, რის შედეგადაც 1943 რუსეთის ეკლესიამ ოფიციალურად პირველად აღიარა საქართვ. ეკლესიის დამოუკიდებლობა.

კ. საეკლ. მოღვაწეობასთან ერთად აქტიურად იყო ჩაბმული საზ. და სამეცნ. საქმიანობაში. 1897–1921 იყო საეკლ. მუზეუმის მდივანი, 1896–1917 – ქართ. საღვთისმსახურო წიგნების შემსწორებელი კომისიის წევრი, მცხეთის ტაძრების აღორძინების კომიტეტის მდივანი, საქართვ. საისტ. და საეთნოგრაფიო საზ-ბის საბჭოს წევრი, ქართ. „ფილარმონიული საზოგადოების“ ერთ-ერთი დამაარსებელი. მისი თაოსნობით შეიქმნა „სამუსიკო სკოლა“. დიდი წვლილი მიუძღვის ქართ. ხელნაწერების მოპოვება-შეგროვებაში. მან თბილ. სახელმწ. უნ-ტის საცავს არაერთი ხელნაწერი შესწირა. ყურადღების გარეშე არ ტოვებდა თურქეთის ტერიტორიაზე მოქცეული ქართ. პროვინციების მოსახლეობასა და ისტ. ძეგლების საკითხს. გამოაქვეყნა წერილი „საქართველოს საკათალიკოსოს ზემო ქართლის ეპარქიებისათვის", სადაც ასახული იყო ისტ. ზემო ქართლის ტერიტორიაზე არსებული ეპარქიების სრული სია. საყურადღებოა მისი პედ. მოღვაწეობა და ღვაწლი განათლების კერების დაარსება-განმტკიცებაში. 1905 გამოქვეყნდა კ-ს მონოგრაფია „Историческая справка по вопросу об автокефальности Грузинской церкви“, რ-იც ქართვ. ავტოკეფალისტების მეცნიერულ მტკიცებულებად იქცა. მასვე ეკუთვნის „შენიშვნები საქართველოს ეკლესიის ისტორიიდან", „ვეფხისტყაოსნის ავტორის მსოფლმხედველობისათვის" (კრ.: შოთა რუსთაველი, თბ., 1966), „ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესია ტფილისში“, „ივერიის საეკლესიო წესი“, „ქართული ოდიკისათვის“. 1930–52 მანვე შეადგინა საქართვ. ეკლესიის კალენდრები და სხვა სამეცნ. ნაშრომები. კ-ს პირადი ფონდი დაცულია ხელნაწერთა ეროვნ. ცენტრში. დაკრძალულია თბილისის სიონის ტაძარში.

2016 წ. 22 დეკემბერს საქართვ. სამოციქულო მართლმადიდებელმა ეკლესიამ კ. წმინდანად შერაცხა და ეწოდა წმინდა პატრიარქი. მისი ხსენების დღეა 3 თებერვალი.

ლიტ.: ვ ა რ დ ო ს ა ნ ი ძ ე ს., ქართველი მღვდელმთავრები (XX–XXI საუკუნეებში), თბ., 2010; ჟ ვ ა ნ ი ა ზ., საქართველოს კათალიკოს-პატრიარქნი და მღვდელმთავარნი 1917 წლიდან, ქუთ., 1994; საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000.